ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3544916

ნომერი: AR1539141

თარიღი : 10.09.2017

გაცემის თარიღი : 18.09.2017

გაცნობის თარიღი : 18.09.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხიზაბავრის I ჩიხი , N 7ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით კვარაცხელია პ/ნ 01015010517
- თბილისი, ოქროყანა, ნიკო ბურის ქ. 4

ორგანიზაცია:

- შპს სოლიდ დეველოპმენტი კოდი: 405112514

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1539141 განცხადება, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

2016 წლის 27 მაისს ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ " ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ,,ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილება.

არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილად არ მიაჩნია თქვენს დაინტერესებაში არსებული საკადასტრო ერთეული (საკადასტრო კოდი: #01.11.12.018.245) ჩაითვალოს საზოგადოებრივ სივრცედ. ვინაიდან, მოცემული ტერიტორია წარმოადგენს სერვიტუტით დატვირთულ რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, რომელიც მოქცეულია კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს შორის. იმისათვის, რომ აღნიშნული სივრცე ჩაითვალოს საზოგადოებრივ სივრცედ საჭიროა ტერიტორიაზე ვრცელდებოდეს შესაბამისი ზონა და იმ შემთხვევაში, თუ გსურთ ფუნქციური ზონის ცვლილება საჭიროა ელექტრონული განაცხადი ატვირთოთ არქიტექტურის სამსახურის ვებ–გვერდზე, http://tas.ge/–ზე, შესაბამის ნომენკლატურაში: „ქალაქგეგმარება", „ფუნქციური ზონის ცვლილება", რომელსაც განიხილავს „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო".

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.